„სამოქალაქო კომიტეტის“ ვირტუალური სამუშაო შეხვედრა



მიმდინარე წლის 30 სექტემბერს გაიმართა „სამოქალაქო კომიტეტის“ ვირტუალური სამუშაო შეხვედრა, რომელშიც „უსაფრთხოების სფეროს მკველვართა ასოციაცია“ (უსმა/USMA) იღებდა მონაწილეობას, როგორც სოფლის განვითარების პოლიტიკის განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარე. „სამოქალაქო კომიტეტის“ ვირტუალური სამუშაო შეხვედრა მისალმების სიტყვით გახსნეს: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ამავე დროს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელმა - გიორგი ხანიშვილმა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ეროვნულმა მენეჯერმა - ნოდარ კერესელიძემ.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, პარტნიორობის პრინციპებზე, სამოქალაქო კომიტეტის ეფექტური ორგანიზებისა და ფუნქციონირების შესაძლო მიდგომებზე ევროკავშირში და საქართველოში ისაუბრა ექსპერტმა ევროკავშირის სოფლის განვითარების პოლიტიკის საკითხებში - ბრიგიტ მელმაუერ-ლარხერმა.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში „სამოქალაქო კომიტეტის“ წევრმა ასოციაციებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა თავის მხრივ წარადგინეს ინიციატივები შემდეგ საკითხებზე, როგორიცაა: „ტყის თემატური ჯგუფის შექმნის შესახებ“ და „თემატური ჯგუფის შექმნა ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) შესახებ.

ამავე შეხვედრის ფარგლებში მოხდა სოფლის მეურნეობის მიმართულებით, სტატისტიკური კრებულის გაცნობა, რომელიც განიხილა საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკის კოორდინაციისა და ანალიტიკის დეპარტამენტის მონაცემთა ანალიზის სამმართველოს უფროსმა - ალექსანდრე არაბულმა.

„უსაფრთხოების სფეროს მკველვართა ასოციაციის“ (უსმა/USMA) მხრიდან „სამოქალაქო კომიტეტის“ ვირტუალურ სამუშაო შეხვედრას ესწრებოდა ასოციაციის პროექტების კოორდინატორი და მონიტორინგის ცენტრის უფროსი - თამარ ახალკაციშვილი. „უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის“ (უსმა/USMA) სამუშო ჯგუფს ხელმძღვანელობს, ასოციაციის საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარე - გოჩა ცოფურაშვილი.

REC
Tamar Akhalkatsishvili
Brigitte Mehlmauer Larcher
Ekaterine Zviadadze
george khanishvili


REC
სოფლის მეურნეობა
რიცხვებში
2020
(ოპერატიული)